



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

ფსიქოლოგია

ქუთაისი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება– ფსიქოლოგია (minor)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით– 60 კრედიტი

სწავლების ენა –ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მისცეს სტუდენტს საბაზისო ცოდნა ფსიქოლოგიაში, რაც მოიცავს ფსიქოლოგიის, განვითარების ისტორიას, კვლევის მეთოდების შესწავლას და გამოყენებას, ფსიქოლოგიის ძირითად დარგებში მიღებულ ცოდნას (ზოგადი, განვითარების, სოციალური, განათლების) ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიების გააზრებას, ფსიქოლოგიის სწავლების მეთოდების დაუფლებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

- კურსდამთავრებულმა იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების ისტორია, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობის კანონზომიერებები;
- აქვს ძირითადი ფსიქოლოგიური მიმდინარეობების, თეორიების გააზრების შესაძლებლობა;
- განიხილავს და განმარტავს ადამიანის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებებს, ასაკობრივ და ინდივიდუალურ განსხვავებებს;
- აცნობიერებს სოციალურ–ფსიქიკური გავლენის ფორმის შინაარსს, პიროვნული ურთიერთობების კანონზომიერებებსა და მნიშვნელობას სოციალიზაციის პროცესში.
- შეუძლია ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგის დღევანდელი დონის შეფასება და განვითარების პერსპექტიული ტენდენციების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სხვადასხვა ფსიქოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
- ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების შეფასება და შესაბამისი გამოყენება;
- ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხთან (პიროვნული, სოციალური, ორგანიზაციული) მიმართებაში;

დასკვნის უნარი:

- ერთი და იმავე მოვლენის თუ კონცეფციის სხვადასხვა კუთხიდან განალიზება, სხვადასხვა ცნების თუ შეხედულების ერთმანეთთან დაკავშირება ან შეპირისპირება;
- ფსიქოლოგიური ლიტერატურის ანალიზი, ინფორმაციების თანმიმდევრული შერჩევა და დალაგება;

კომუნიკაციის უნარი:

- ფსიქოლოგიური ტერმინების სწორად გამოყენება;
- მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის გადმოცემა;
- გამართული წერა და მეტყველება, საკუთარი და სხვისი შეხედულებების ნათლად გადმოცემა როგორც ზეპირი, ისე წერიითი მეტყველების დროს;
- დიალოგის კულტურის დაცვა და შესაბამისი რეაგირება ვერბალური ან არავერბალური კომუნიკაციის პროცესში;
- სოციალურ ურთიერთობათა პროცესში პიროვნული(ემოციური) კომპეტენტურობის გამოხატვა.

სწავლის უნარი :

- მიღებული დავალებების დამოუკიდებელი შესრულება;
- საჭირო ინფორმაციების მოძიება არსებული სასწავლო-სამეცნიერო რესურსების გამოყენებით;
- საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

- საკუთარი პიროვნებისა და სხვების ღირებულების განსაზღვრა მაღალ მოთხოვნილებათა სფეროს განვითარების, ემოციური კომპეტენტურობის და ნებელობითი სფეროს განვითარების დონის მიხედვით და სოციალური განწყობების ფორმირებისათვის სწრაფვა;
- ობიექტურობის, სამართლიანობის, ჰუმანისტური პრინციპების დაცვა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებული პირებისა და სოციალური ქმედებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების განსაზღვრა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: – ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაციები, საშინაო დავალების შედეგების საჯარო განხილვა, კითხვა პასუხის სესია, პრაქტიკული სიტუაციების განხილვები. დისკუსია/დებატები;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი; (დაწვრილებით იხ.სილაბუსებში)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ: უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განახორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი.

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ/ ჯგ. მუშ. დამ. მუშ	კრედი ტოა რაოდ -ბა	სემესტრები								
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	ფსიქოლოგიის შესავალი	3	30. 15. 80	5			5						
2	ზოგადი ფილოსოფია	3	30. 15. 80	5			5						
3	ზოგადი ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5				5					
4	განწყობის ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5				5					
5	იურიდიული ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5					5				
6	განვითარების ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5					5				
7	განათლების ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5						5			
8	ზოგადი პედაგოგია	3	30. 15. 80	5						5			
9	ფსიქოლოგიის სწავლების მეთოდის	3	30. 15. 80	5							5		
10	ფსიქოლოგიის ისტორია	3	30. 15. 80	5							5		
11	ლოგიკა	3	30. 15. 80	5								5	
12	სოციალური ფსიქოლოგია	3	30. 15. 80	5									5
	ს უ ლ		360, 180, 960	60									

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება სკ. საათი კვირაში; ლ/ ლექცია, ჯგ. მუშ./ ჯგუფში მუშაობა, დამ.მუშ./ დამოუკიდებელი მუშაობა.

5 კრედიტი 125 საათი

კომპეტენციები

კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულე ბები
ფსიქოლოგიის შესავალი	X	X		X		
ზოგადი ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
ზოგადი ფსიქოლოგია	X	X	X			
განწყობის ფსიქოლოგია	X	X	X		X	
იურიდიული ფსიქოლოგია	X	X	X			X
განვითარების ფსიქოლოგია	X	X			X	
განათლების ფსიქოლოგია	X	X	X			
ზოგადი პედაგოგიკა	X	X			X	X
ფსიქოლოგიის სწავლების მეთოდოლოგია	X	X	X			
ფსიქოლოგიის ისტორია	X	X	X			X
ლოგიკა	X	X	X	X	X	X
სოციალური ფსიქოლოგია	X	X				X

ფსიქოლოგიის მაინორ პროგრამის საგნების ანოტაციები

კურსის კოდი: SFB0840

ფსიქოლოგიის შესავალი

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ფსიქოლოგიის შესავალი კურსი გულისხმობს ფსიქოლოგიის საგნის (ფსიქიკური სინამდვილის) პირველად გაცნობას და ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, მისი მნიშვნელობის გააზრებას და ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიაში გარკვევას.

კურსის კოდი: SFB0470

ზოგადი ფილოსოფია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ზოგადი ფილოსოფია სამყაროს უზოგადესი ანუ სუბსტანციური კანონზომიერების შესახებ მეცნიერებაა და კვლევის პროცესში ჩამოაყალიბებს უზოგადეს შეხედულებათა სისტემას გარეგანი და შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. იგი მეცნიერული მსოფლმხედველობაა, ცოდნის დასაბუთებადი სისტემა. ზოგადი ფილოსოფიის კურსის შესწავლა ამ საკითხებში გარკვევას გულისხმობს.

კურსის კოდი: SFB0080

ზოგადი ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ზოგადი ფსიქოლოგია, რომელიც ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საფუძველს წარმოადგენს, შეისწავლის ადამიანის სულიერი სამყაროს ზოგად კანონზომიერებებს, კურსის შესწავლა გულისხმობს ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, ძველი და თანამედროვე ზოგადფსიქოლოგიური თეორიების გაცნობას, დასავლური და ქართულ ზოგადფსიქოლოგიურ შეხედულებებში გარკვევას.

კურსის კოდი: SFB0121

იურიდიული ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგია, რომელიც იკვლევს ზოგადი ფსიქიკური მექანიზმებისა და კანონზომიერებების გამოვლენასა და გამოყენებას სამართლის მიერ რეგულირებული ურთიერთობების სფეროში. იურიდიული ფსიქოლოგიის კურსის შესწავლის მიზანია მისი როლისა და მნიშვნელობის გააზრება სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

კურსის კოდი: SFB0850

განწყობის ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

განწყობის ფსიქოლოგია მიმართულებაა ფსიქოლოგიაში, რომელიც შეისწავლის განწყობის აღმოცენებისა და გამოვლენის კანონზომიერებებს და თვით განწყობის ფსიქოლოგიურ არსს. განწყობის ფსიქოლოგია ჩამოაყალიბდა დ. უზნაძის მიერ შემუშავებული ორიგინალური თეორიის – განწყობის თეორიის საფუძველზე. განწყობა გამოხატავს ინდივიდის ფსიქოლოგიური ორგანიზაციის მოდუსს მისი მოქმედების ყოველ კონკრეტულ მომენტში.

კურსის შესწავლის მიზანია ფსიქოლოგიის იმ ფუნდამენტური პრობლემების გაცნობა, რომელთა გადასაჭრელად დ. უზნაძის განწყობის თეორია იქნა წამოყენებული.

კურსის კოდი: SFB0650

განვითარების ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

განვითარების ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის განვითარების დინამიკას, განვითარების ზოგად კანონზომიერებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

კურსის შესწავლის მიზანია ადამიანის ფსიქიკური განვითარების პროცესის გაცნობა და მისი მიმდინარეობის კანონზომიერებებსა და თავისებურებებში გარკვევა.

კურსის კოდი: SFB0821

განათლების ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

განათლების ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის დარგი. სწავლება–სწავლის პროცესის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესწავლაში ფსიქოლოგიის მონაპოვრის გამოყენების შესახებ. იგი სწავლობს ადამიანის ქცევას სწავლის პროცესში, მის განვითარებას და მოტივაციას, პიროვნულ თვისებებს. ადგენს პედაგოგიურ–ფსიქოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სწავლებისადმი მიდგომის ახალ ტენდენციებს. კურსის შესწავლა გულისხმობს სათანადო ცოდნის მიღებას განათლების ფსიქოლოგიის ძირითადი, ცნებების შესახებ და განათლების განსხვავებული სისტემების ფსიქოლოგიურ საფუძვლებში გარკვევას.

კურსის კოდი: PPB0570

ზოგადი პედაგოგიკა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება სწავლებისა და აღზრდის შესახებ, განსაზღვრავს სწავლების, აღზრდის, განათლების არსებით ნიშან–თვისებებს, მიზნებსა და ამოცანებს, ამ პროცესების მნიშვნელობას პიროვნების ფორმირების პროცესში. კურსის შესწავლის მიზანია, სათანადო ცოდნის მიღება პედაგოგიკის ცნებების შესახებ, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების შესახებ და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღვზარდოთ და განვავითაროთ პიროვნება.

კურსის კოდი: SFB0860

ფსიქოლოგიის სწავლების მეთოდიკა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ფსიქოლოგიის სწავლების მეთოდიკა განსაზღვრავს ფსიქოლოგიის კონკრეტული საკითხების სწავლების მეთოდიკებს. ფსიქოლოგიის სწავლებისას მნიშვნელოვან მომენტად ითვლება საგანგებო ზომების მიღება იმისათვის, რომ ადამიანი შევაჩვიოთ ფსიქოლოგიაში შესასწავლ მოვლენათა გასათვალისწინებლად მიმართოს თავის განცდებს, საკუთარ ფსიქოლოგიურ გამოცდილებას და გააცნობიეროს შინაგანი ფსიქიკური პროცესები. კურსის შესწავლის მიზანია ფსიქოლოგიის კონკრეტული საკითხების სწავლების მეთოდიკათა გაცნობა.

კურსის კოდი: SFB0160

ლოგიკა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

განსაზღვრავს სწორი აზროვნების ფორმებსა და მეთოდებს. ადგენს ცნების, მსჯელობის, დასკვნის არსს. აყალიბებს კამათის, პოლემიკის და დისკუსიის

წარმართვის მეთოდს. ავითარებს შედარებითი ანალიზისა და სინთეზური განზოგადების უნარს. აფართოებს ცოდნას და იძლევა წარმატებული კომუნიკაბელობის გარანტიებს. კურსის შესწავლა ამ საკითხების სათანადო გაცნობიერებას და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

კურსის კოდი: SFB0870

ფსიქოლოგიის ისტორია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

ფსიქოლოგიის ისტორიის საგნობრივი სივრცე მოიცავს ფსიქოლოგიური აზრის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე, ცვალებად წარმოდგენებს ფსიქიკური ცხოვრების შესახებ, ან როგორ მიმდინარეობდა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის ფორმირების პროცესი. კურსის შესწავლა გულისხმობს ფსიქოლოგიური აზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების, განვითარების ისტორიულ ეტაპებს შესწავლას და ანალიზს.

კურსის კოდი: SFB0670

სოციალური ფსიქოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

სოციალური ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, შეისწავლის სოციალური ურთიერთობის კანონზომიერებებს. ადამიანის სოციალ ფსიქიკურ აქტივობას. ადამიანის ან ჯგუფის გავლენას ადამიანის ქცევაზე, სოციალური ჯგუფის მახასიათებლებს. კურსის შესწავლის მიზანია სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლების, საბაზისო ცნებების, თეორიების და საკვანძო საკითხების გააზრება. სოციალური ურთიერთობების კანონზომიერებებსა და სოციალურ-ფსიქიკური გავლენის ფორმებში გარკვევა.